№ 222. 5 ნოემბერი, პარასკევი. 1866—1883 5 ნოემბერი, შაბათი. № 222.

დროება

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

თავადი ვახთანგ ვახთანგის-ძე ორბელიანი, კნეინა მარიამ ვახთანგის ასული და თავადი ნიკოლოზ ვახთანგის-ძე ორბელიანი და ნინო ვასილის ასული ზერეშელმანისა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 3-ს ამ თვისას გარდაიცვალა მეუღლე პირველისა, დედა მეორეებისა და დამესამისა, **ეკატერინე კასიდის ასული ორბელიანისა**, და სთხოვენ მათ, რათა პატივისცენ განსვენებულის ხსენებასა და მობძანდენ 5 ს ამავე თვისას, შუადღის უკან 7 საათზე, პოსტოლის ქუჩაზე, მირზოევის სახლში, პანაშვიდის გადახდაზე, და 6 რიცხვსა დილის $9^1/_2$ საათზე ცხედრის განსასვენებლად სიონის კაფედრალურ სობორში.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 6 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქორწილი

ტრაგედია სუთ მოქმედებად, თხზულება ზ. ანტონოვისა.

დასწყისი 8 საათზედ. (2—1)

«დროების» ტელეგრამები

საგუთ. კორესპონდენტისაგან.

ქუთაისი. სასულიერო წოდების კრება გაცხოველებულია; სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ფხაკაძეს ბევრს ბოროტმოქმედებას ამჩნევენ; ჯერ-ჯერობით ეკონომისა და წმინდა სანთლის მაღაზიის გამგებელის თანამდებობისაგან გადააყენეს.

(«ჩრდილოეთის საგენტოსი».)

3 ნოემბერს.

პეტერბურგი. ამ დღეებში საბოლოოდ განხილულ იქმნება სახელმწიფო რჩევაში საქმე იმ დამატებით კანონზედ, რომელიც შეეხება მემამულეთა სოლო-თამასუქების განადგურებას სახელმწიფო ბანკში მამულების დაგირავებით; ამასთანავე განიხილება აზრი იუსტიციის სამინისტროსი იმაზედ, თუ უფროსმა ნოტარიუსმა როგორ უნდა გააკეთოს გირავნობის მოწმობა იმ მამულებზედ, რომელნიც პირველ კერძო გირავნობით შეკრულნი არიან.

გზათა სამინისტრო პროექტს ადგენს ლიბავის, რიგის და ოდესის პორტების გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად.

ბერლინი. რუსეთის გარეშე საგარეო მინისტრი ფრიდრიხსრუეშ წავიდა.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის სესია დაიხურა.

აჯანყებულმა სერბიელებმა კნიაჟევაცი დაიპყრეს და დროებითი მმართველობა გამოაცხადეს; მაგრამ შემდეგ ორის საათის ბრძოლისა ჯარებმა განდევნეს ისინი; ალექსინაციც დაიპყრეს აჯანყებულებმა; იქაც ჯარია გაგზავნილი.

როგორც ოფიციალური ცნობებიდგან სჩანს, ალექსინაცი უკვე დაიპყრეს ჯარებმა; წესიერება აღადგინეს ქალაქში; აჯანყებულებს იარაღი აჰყარეს.

პეტერბურგი. ხმებია, რომ გარდასწყვიტეს შეიმუშავონ პროექტი შესახებ ხარჯის დადებისა ქალაქების სასარგებლოდ ფურგონებზე, მარხილებზე, ფაეტონებზე, ურმებზე და სხ. ყველა ქალაქებს, უბნებს, დაბებს დაჰყოფენ რაოდენსამე ნაწილად და აღნიშნავენ თვითეულს ნაწილს რაოდენი ხარჯიც შეხვდება, და გადაუხდელობისათვის რაოდენი ჯარიმა წაერთმევა.

«ნოვოე ვრემია» იწერება, რომ წესდება ახალი ცეცხლის გემების კომპანია, რომელიც ვოლგით და სხვა მდინარეებით ატარებს გემებს, კომპანიაში მონაწილეობას იღებს რამდენიმე უცხო მხრელი დიდი თანხის პატრონიც.

შინაური ქრონიკა

როცა პირველად გავრცელდა ხმა, რომ ბ. ჭორიძეს სრული ქართული წირვის წესი და რაოდენიმე იმერული და გურული სიმღერები ნოტებზედ გადაუტანიაო, ჩვენ, მართალი უნდა ვსთქვათ, არა გვჯეროდა: ვფიქრობდით, რომ ჩვენებური ეკლესიური გალობა და აგრეთვე სიმღერებიც ევროპიულ ხასიათს მიიღებენ, დაჰკარგავენ იმ განსაკუთრებულს კილოსა, რომლითაც განირჩევიან ევროპიულ გალობა-სიმღერისაგან; აბა ვინ დაიჯერებდა, რომ გურული კრიმანჭული, «ხასან-ბეგურის» წვრილი, წირვის წესის თავისებური ხმის ტრიალი, ზოგან უხმო ასოებზე ხმის ამაღლება და შეჩერება გადავიდოდენ ნოტებზე უცვლელად და ისე, როგორათაც შეუქმნია ხალხის შემოქმედობას.—ეგრეთი ჩვენი ურწმუნოება, ჩვენდა სასიხარულოდ, უსაფუძვლო აღმოჩნდა: გუშინ საღამოს, ოთხშაბათს, ვნახეთ ბ. ფ. ჭორიძის ხორო, რომელიც ოთხის

არწრუნის თეატრი.

კვირას, 6 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქორწილი

ტრაგედია სუთ მოქმედებად, თხზულება ზ. ანტონოვისა.

დასწყისი 8 საათზედ. (2—1)

«დროების» ტელეფონი, 5 ნოემბერი.

ძველს მეგობარს.

დაგბერდი დაგჩაჩანაგდი, წკერი შემექნა ჭაღარა,
შინ ტოლშეიჯს მოკეთულებულვარ, მოუკასთ გუნდიკართ ადარა.

წარეიდენ წელნი, დაგბერდი, ველარ ვნადირობ მთა-ბარში,
ველარ მოვეძებ მთას წკერზედ, ველარც ავდარში, ვერც დარში,
და ველარ ვუმზერ იქიდამ სამშობლო მამულს დასტულს,
ტურფად, კით სასძლო ასული, მშვენიერებით შეკაზმულს.
ძველმა სიმარდემ მიმტოვნა, ძლიერმა შემჯდარკარ ცხენზედა;
ველარ ვნავარდობ, ვერ ვმარდობ, ველარ დავქროლავ ველზედა.
დაგბერდი! ადარ ვარგიკარ, არც ჩემს სასლს გარე, არც შინა,
ადარც მეჯლისში, არც ლხინში, ადარც ბრძოლაში მტრის წინა.
მოდის კეკლუცი და ტურფა, მშვენიერება-ასული,
გაიცლის ჩემ წინ და წავა, ერთს არ მოიხედავს წუეული.
ამასაც ვითმენ,—შენ და მე ბევრი რამ მოგვითმენია;
დიახ! მოგსუტდით; ერთიდა მსოფლიდ ნუგეში გვრჩენია.
ვისიც თვალს ვიდევ ასარებს ბუნების მშვენიერება,
ვინც არ დამშვრალა გულითა და კვლავ სწამს ძმობა, ერთობა,
ვისიც სულს შერჩა ბოლომდინ ცის ნაბერწკალი ცხოველი,—
იმისთვის სიტკბოებითა მაინც სავსეა სოფელი.
მაგრამ მარტო ვარ, არვინ მყავს, მე აქ არავისი რა მესმის;
ვინც რომ მიყვარან, ვერ ვხედავ, ამოდ გული მათ სძებნის.
მოდი, რკინის გზა გვერდით გაქვს, მოსვლა არ გაგიმნელდება,
მოდი აქ მიეკვს თავალთ წინა, რუსთაველის დიდი ქმნილება.
იმის ფურჩქვნილის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ,
გოტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ,
გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული,
საშობლოს ისტორიისა გადავხსნათ დიდი რეკული.
ერთად შევხედოთ ჩვენს ცასა და ზედ გადართხმულს ლაჟვარდსა
მასში მნათობთა ელვარეთ, მთვარეს დიდებით მავალსა.
და რა გაიგლის ზათუსული და დაგვიდგება ზამთარი,
ნისლი მოიცვავს მთა-ბარსა, დაგვეძებენ თოვლი და ქარი,—
აჭა გრიალებს ბუსარი, გამდეკი შავის სეკლისა
და ცხოველს ნაღვერდალზედა ტრიალებს მწვადი მშვენისა.
გავშალე ქეჩა-ხალიჩა, მოვუსხდით, კულა კარკარებს,—
მაგრამ რას ვეტყვ! ამოდ გული მეგობრის გულს ეძებს.

ვ. ო.

ქართული თეატრი

2-ს ნოემბერს.

(«კრეჩინსკის ქორწილი, კომედია სამ მოქმედებად, ნათარგმნი რუსულიდან ა. ფულაძისაგან.)

ბუშინ წინ საღამოს, 21 ნოემბერს, ქართულს სცენაზე პირველად წარმოადგინეს კომედია «კრეჩინსკის ქორწილი», რომელიც რუსულს რეპერტუარში რიგიან და სასცენო პიესად ითვლება. ჩვენს სცენაზე კი ეს პირველი წარმოდგენაა «კრეჩინსკის ქორწილისა» და ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს კომედიის შინაარსი, რომელიც თვით ნამდვილის ცხოვრებიდგან არის ამოღებული.

აი შინაარსი: რუსეთის მდიდარი მებატონე მურომსკი სოფლიდამ ჩამოსულა ქალით და ცოლის-დითურთ. მურომსკი კეთილს და კარგს მეოჯახე კაცსა ჰგავს, მხოლოდ ცოტაოდენი ბებრული ჯიჯღინი სჭირს. ის სულ იმაზედ ელაპარაკება თავის ცოლის-დას, თუ რისთვის წამოვიდენ სოფლიდამ, რომ ოჯახობა წაგვიხდებაო და ხარჯი ბევრი მოგვივა ქალაქშიო. ხანში შესული ცოლის-და კი მურომსკის არ ეთანხმება და არწმუნებს,—ქალაქში არისტოკრატიულად ცხოვრება განათლებააო, სოფელში კი რიგიანმა და პატიოსანმა კაცმა აბა რა უნდა გაარიგოსო: სოფელში ცხოვრება ოჯახის, მოვლა გლეხის საქმეა; ესეთი აზრი სრულებით სასიამოვნო არ არის მურომსკისათვის, რომელსაც აღტაცებით უყვარს სოფელი. ცოლის-და ახსენებს მურომსკის, რომ მისი ქალი ლიდია გასათხოვარია კიდეც; მურომსკის ჰყავს კიდეც აჩენილი ლიდიასათვის საქმრო—ნელკინი; ცოლის-დას კი ნელკინი არ მოსწონს; მას ურჩევნია კრეჩინსკი, რომელსაც ერთს საღამოს ლიდიასთან უტანცავნია, თავი მოუწონებია ახალგაზდა ქალისათვის და თითონაც განუცხადავს მაინც და მაინც ლიდიას შერთვა; კრეჩინსკის

მგალობლისაგან შესდგება. არცერთმა იმათგანმა უწინ ჩვენებური გალობა არ იცოდა. ბ. ᲫᲝᲠᲘᲫᲔᲡ დაუწყებინებია შესწავლა მისგან შედგენილ ნოტებზე.—სრული წირვის წესი მოვისმინეთ, რომელიც თითქმის მთელი საათი გაგძელდა. თუმცა ჩვენ თითონ მგალობელნი არა ვართ, მაგრამ ხშირად გაგვიგონია Iმერეთში გამოჩენილთა პირთა გალობა, მაგალითებრ, თ. Dათა ᲖᲣᲒᲣᲜᲐᲕᲐᲡᲘ, ბ. ᲜᲘᲙᲝ ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ბ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡᲐ და მრავალთა სხვათა. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ კილო, ყოველი ერთის ხმიდამ მეორეზე გადასვლა, ყოველი ხმის ამაღლება ისეთის სინამდვილით და სიმტკიცით არის აღდგენილი, რომ ევროპიულის მუსიკის გავლენა, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ; ასე რომ შთაბეჭდილებას არ არღვევს არავითარი უცხო ელემენტი და არ ეჩოთირება კაცს ყურში: იგივე ნამდვილი, დარბაისლური გრძნობა, მძლავრი, სასოების აღმძვრელი ძველებური ქართული გალობა, რომლის მაღალი და მძლავრი კილო თითქო ჩვენის ძველებურის მაღალგუმბათიანი ეკლესიებისთვის არის შეხამებულიო, და რომელიც სულითა და გულით ზეცას აღიტაცებს მაველრებელს.

ᲐᲛ საღამოს დაესწრნენ მმ. არხიმანდრიტნი ᲖᲠᲘᲒᲝᲚᲘ, მაკარი და მგალობელი Iმერეთის ეპისკოპოსისა ბ. ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲘ, რომელთაც აღიარეს, რომ ბ. ᲫᲝᲠᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ შედგენილ ნოტებში ყოვლის მხრით დაცულია ქართულის გალობის სინამდვილე და სიმედი აქვს ამ გვარის ცოლის შერთვით თავისი საქმეები გაასწოროს და სიმდიდრე შეიძინოს; მას მხედველობაში აქვს, რომ ᲚᲘᲓᲘᲐ ერთად ერთი მემკვიდრეა მურომსკისა, რომელსაც ნამდვილი მამობრივი სიყვარულით უყვარს ᲚᲘᲓᲘᲐ. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ მიდის მურომსკისთან და ვიზიტის დროს ცდილობს თავი მოაწონოს მოხუცს მეგობტონეს და სულ ოჯახის მოვლაზე სოფელში ცხოვრებაზე ელაპარაკება. თანაც საჩუქრად მურომსკისათვის ერთი კარგი ხარი მოჰყავს. ᲐᲛ გვარი საჩუქარი ფრიად ესიამოვნება მურომსკის, როგორც მეურნეობის მოყვარულს. მაგრამ იგი ვერ ჰპედავს ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ქალის მითხოვებას, რადგანაც კარგად არ იცის მისი გარემოება; არ იცის კარგად, რის პატრონია ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ, რომლის საქმეები მას დახლართულად მიაჩნია. ᲑᲝᲚᲝᲡ, როგორც არის, ᲚᲘᲓᲘᲐ, დედის-და და ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ითანხმებენ მურომსკის და გარდასწყვეტენ ᲚᲘᲓᲘᲐᲡ და ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ შეუღლებას.

ᲞᲘᲔᲡᲘᲡ მეორე მოქმედება გვიხატავს თვით ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ ვინაობას, ხასიათს და მოქმედებას. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲙᲘ ყოფილა ერთი გარყვნილი და უგრძნობელი კაცი, უშრომელი და არარაის მქონე. მისი მოსამსახურე ჩივის, რომ ჩემი ბატონი ერთობ ბევრ ფულებსა ხარჯავს და ქალალდსა თამაშობსო; ამ ქამად ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ არა მოეძებნება-რა, შეშის ფულიც კი არა აქვს. სცენაზე გამოდის ვიღაც რასპლიუევი, შინა ყმა ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐ, რომელიც გვატყობინებს, თუ რა ადამიანი ბძანდება ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ. რასპლიუევი ერთი საცოდავი კაცია, რომელიც ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ ხელთა ჰყავს სხვა-და-სხვა ბინძური საქმეების მოსაწყობად. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ჰგზავნის რასპლიუევს ნივთების დასაგირავებლად, ფულების საშოვნელად და სხვ. და სხვ. რასპლიუევი ყოველს სისაძაგლეს სჩადის ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ ბძანებით. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲪ ერთობ სასტიკად ეპყრობა მას; გინებას და მუქარას არ აკლებს. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ სრულიადაც არ დაეძებს, თუ რა საშუალებით იშოვის ფულებს რასპლიუევი. მისთვის სულ ერთია, მოიპარაოს, ვისმეს გამოსტყუებს, თუ ქალალდში მოიგებს. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ აძლევს რასპლიუევს ფულებს ქალალდის სათამაშოდ და ვაი იმის ბრალი, თუ კი წაგო და თავის მბძანებელს ვერა მოართვა-რა. ხშირად რასპლიუევი ბრუნდება სახლში ნაცემ-ნატყეპი, ტანისამოს დაგლეჯილი და სახლში კი ხშირად უარესი დღე ადგება. ᲐᲛ გზობით კი ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ ფულები ეჭირება ქორწილისათვის და რასპლიუევს უბძანებს ფულებს შოვნას, თორემ ვაი შენი ბრალიო. რასპლიუევი ვერაფერს ვერ იშოვნის. ᲖᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ცდილობს რამე მოიფიქროს, რადგანაც უფულობის გამო მას ვერც ცოლის შერთვა შეეძლება, ვერც მოვალეების გასტუმრება, რომელნიც მას ძლიერ აწუხებენ, და, შეიძლება კლუბიდამაც დაითხოვონ. როგორც იყო ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲛ რაღაცა მოიგონა; მან განიზრახა წერილის მიწერა თავის საცოლოსთან. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ სთხოვს მას დროებით, ვითომ და გარდასაკეთებლად, ძვირფასს ქინძისთავს, რომელიც რაოდენიმე ათასი თუმანი ღირს. წერილს და თაიგულს უგზავნის ᲚᲘᲓᲘᲐᲡ რასპლიუევის ხელით. ნამდვილი განზრახვა კი ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐ იყო ვალების გასტუმრება და ფულების შოვნა. ᲚᲘᲓᲘᲐᲛ აასრულა ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ თხოვნა და ქინძისთავი გამოუგზავნა. Iმავე წამს ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲛ გასწია ზარაფთან და იქ ეს მოახერხა: ᲚᲘᲓᲘᲐᲡ ძვირფას ქინძისთავის გარდა ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲛ წაიღო ზარაფთან ერთი სხვა უბრალო და უფასო ქინძისთავი, რომელიც სრულებით ᲚᲘᲓᲘᲐᲡ ქინძისთავს ემზგავსებოდა, მხოლოდ ძვირფასი არ იყო. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ზარაფს უჩვენებს ᲚᲘᲓᲘᲐᲡ ქინძისთავს და აღტაცებაში მოჰყავს. ზარაფი თანახმაა დიდ ფასად დაიგიროს ქინძისთავი. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ უბძანებს მას კოლოფის და ლაქის მოტანას, რადგანაც, შიშის გამო, თვითონვე უნდა ჩადოს კოლოფში და დაბეჭდოს. ზარაფი მიდის კოლოფის და ლაქის საშოვნელად; მოაქვს კოლოფი და ლაქი; ამასობაში ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲛ შესცვალა ქინძისთავი და

ბეჯითეო. Dიდი მადლობა ეკუთვნის ამ საუკუნო ძეგლის დამდგმელს, ბ. Ფ. ᲫᲝᲠᲘᲫᲔᲡ და იმის მეუღლეს, რომელმაც თავის მონაწილეობით და მშვენიერის მუსიკის ცოდნით თითქმის გაუნახევრა მას ჯაფა.

〰 ბ. Aღ. Oუთაევი ᲖᲝᲠᲘᲓᲒᲐᲜᲐ გვწერს: «არ არის მომსწრე კაცი, რომელსაც ამ გვარი ცხადი ავაზაკობა ენახოს ᲖᲝᲠᲨᲘ, როგორ ეხლაა აქა. არც ერთი ღამე ისე არ გაივლის, რომ ან დუქანი არ გატყდეს, ან სახლი. შეღამდება თუ არა, კაცი სულ შიშშია; ქუჩაში გიხედებიან ხრო და ხრო ავაზაკებისა; სიცოცხლე აღარა გვაქვს, თავს-ზარი დაგვეცა. სხვათა შორის, ორი ღამის წინ ჩემს ძმას შვიდი ერთად მიუხდა ასაკლებად, მაგრამ გაუგო და გაიქცნენ. Iქიდამ წასულებმა ᲖᲣᲠᲒᲔᲜᲝᲕᲘᲡ ცოლს გაუტეხეს სამზარეულო, რომელიც სულ ერთიანად გაანადგურეს. წუხელის, 1-ს ნოემბერს, საათის თორმეტზედ, ქუჩაში ხველების ხმა მომესმა; მაშინვე ფანჯარას ვეძგერე, გადავიხედე ქუჩაში, ჩემი სახლის გვერდზედ, დავინახე და ვიცან კიდეც, რადგან მთვარე ანათებდა, რომ სამი ღამის გმირი ატუზულიყვნენ; რომ გადავძახე დარეოლვერიც მოვითხოვე, ელვასაებ განქრნენ; მეორე მხარესაც, აქვე ᲤᲔᲨᲐᲜᲒᲝᲕᲘᲡ კუთხიდგან, სამი ავაზაკი გაიქცა, სროლა ვეღარ მოვასწარ. წასულებმა მაინც გატეხეს ᲑᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ და Aივაზოვის დუქნები და წაიღეს, რაც ფული ებადათ; პატრონები გულ-ხელ დაკრეფილები შესცქერიან დუქანს და შიშით ხმაც ვერ ამოუღიათ. ჩვენი დაბრიყვება ნახეთ: დღესაებ ღამეში ექვსი კაცი ერთად ჩვენს ასაკლებად დადის და ისეთს დროს, რომ ხალხი ისევ ირევა. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ თუ მიხვალ და ამ გვარ ამბავს გამოაცხადებ, იმითი იმართლებენ თავსა, რომ მოგვეცით ქალაქმა «აფხოტი» და ვივლით ღამეო. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ბედ-ილბალი ოც-და-ათი ხმოსნის ხელშია ჩაკარდნილი. თუ სასიკეთოდ და სასარგებლოდ ხალხისა ხმას ამოიღებს ამათში რომელიმე ხმოსანი, დანარჩენები, თუნდ აბკარადაც იცოდენ, რომ კეთილი სამმეა, ჩაშლიან ხმის უმრავლესობით. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪᲐ ვართ ამისთანა გაჭირვებაში. ᲐᲛᲐᲡ წინად ამ საგანზედ მაზრის უფროსმა მისწერა ქალაქის საბჭოს და სთხოვა «აფხოტისთვის» ხალხი. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ საბჭომ უარი გამოაცხადა. ᲐᲮᲚᲐ არ ვიცით, რა ვქნათ. Dღე უნდა ვიძინოთ და ღამე ვიყარაულოთ, თორემ სულს აქეთ რაც გვაბადია, გაგვცარცვენ და იქნება ამოგვწყვიტონ კიდეც. ნეტავი უმაღლეს მთავრობამდე მაინც მიაღწიოს ამ ჩვენის უბედურების ამბავმა; არა გვგონია, რომ მან მოინდომოს და ავაზაკების ხროვას აგვაკლებინოს. Bსთხოვ «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ» რედაქციას გადაბეჭდოს ეს ჩემი წერილი.»

〰 Iმ შენიშვნის თაობაზედ, რომელიც ამ დღეებში ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲓᲐᲛ გვწერენ: «Oუმცა ამას წინად Yვირილაზედ ხიდი ძალიან დაზიანებული იყო, მაგრამ ეს ორი თვეა, რაც ჩვენს ხიდს მუშები ადგია და [illegible] და ჩქარი მუშაობაა [illegible], უქმი დღე და საქმის დღე გასწორებული აქვთ, ჩვენ იმედი გვაქვს რომ საშობაოდ რკინის ხიდი გვექნება და კორესპონდენტი შემცდარიწ, როდესაც ბძანებს «არც კი ფიქრობენ ხიდზე-დაო.

«ᲐᲛᲐᲡ გარდა იყო კიდევ პატარა შენიშვნა ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲓᲒᲐᲜᲔᲕ მომრიგებელ მოსამართლის თარჯიმნის უჩვეულობაზედ, მაგრამ ამ ამბავს, თუნდა მართალიც რომ იყოს, აქამდის უფრო ექნებოდა მნიშვნელობა, ვიდრე ეხლა,—აქამდის მსაჯულად რუსი იყო და ეხლა კი ქართველია და მომჩივარ-მოპასუხის სიტყვები თვითონვე კარგად ესმის, ასე რომ თარჯიმანი მხოლოდ ზალის დამამშვენებლათ არის».

〰 Oთის თაობაზედ, რომელიც უწყალოდ დასაჯა ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ კენ რკინის გზის გახსნამ და უკანასკნელმა ცეცხლმა, სანუგეშო ამბავსა სწერენ «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს»: სექტემბრიდამ Oთის ნავთ-სადგურში დაინიშნა თურმე გემების ზედამხედველი, ასე რომ გემებს ამას იქით ნება ეძლევათ ნავთ-სადგურში საქონლის დაცლისა. ᲐᲛᲐᲡ გარდა, თუმცა «რუსეთის საზოგადოებას ნავოსნობისა და ვაჭრობისას» Oთი აუთვალწუნებია, მაგრამ მშველელად გასჩენია ამ ქალაქს როდოკონაკის კამპანია, რომლის გემებს დაუწყვიათ კიდეც ყოველ კვირა სიარული Oდეს-ᲚᲘᲓᲘᲐᲡ ქინძისთავის მაგიერ კოლოფში ჩადო უბრალო, უფასო ქინძისთავი. Oული კი რაოდენიმე ათასი თუმანი გამოართვა და გამოსწია სახლისაკენ. Eხლა ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ბედნიერია, მან უნდა გაუგზავნოს ᲚᲘᲓᲘᲐᲡ მისი ქინძისთავი; განკარგულება გასცა ვალების გასასტუმრებლად და სტუმრების მოსაწვევად.

Mესამე მოქმედება წარმოგვიდგენს ისევ ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡ სადგომს, კარგად მოწყობილს და გასუფთავებულს. Aი, მობძანდენ მურომსკი და მისი ოჯახობა ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ესაუბრება ქალებსა და რასპლიუევი მურომსკისა. მურომსკი ლაპარაკობს ოჯახობაზე, სოფელზე, რასპლიუევს კი აზრი ებნევა, რადგანაც არ იცის, რა პასუხი მისცეს მურომსკის, მაგრამ ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ შველის მას თავის მოსწრებული სიტყვით. ᲐᲛ დროს შემოდის ნელკინი, ახალგაზდა პატიოსანი კაცი, და უცხადებს მურომსკის, რომ ის იმყოფება ავაზაკების და ქურდების სახლში. ნელკინი ჰკითხავს მურომსკის, თუ სად არის ᲚᲘᲓᲘᲐᲡ ქინძისთავი. ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ეუბნება, რომ ქინძისთავი ზარაფთან არის დაგირავებული. ᲐᲛ დროს ორივე, ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ, ვითომც შეურაცყოფილი, და ნელკინი გაბრაზებული, ერთიერთმანეთისაკენ მიიწევენ, მაგრამ სხვანი შეაჩერებენ. Oავის გასამართლებლად ᲙᲠᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ ამოიღებს სტოლიდამ ᲚᲘᲓᲘᲐᲡ ქინძისთავს და

სასა და ფოთს შუა. ამ გემებით თურმე ბევრი მგზავრები მოდიან პირდაპირ ფოთში ნახევარ ფასად «რუსეთის საზოგადოების» ფასებთან შედარებით. ფოთიდამ ბათუმამდე თურმე მესამე კლასში როდოკონაკის გემებზე ართმევენ მხოლოდ **20** კაპ. და «რუსეთისაზე» კი **80** კაპეიკს. როდოკონაკის კამპანია შემდეგის პირობით შეკვრია აგრეთვე ჩვენს რკინის გზის კამპანიას: საქონელი გემებიდამ უნდა ვაგონებში დაიცალოს, ეს ვაგონები საქონლისათვის დანიშნულ სტანციაზედ უნდა მივიდენ და ამ სტანციიდამ საქონელი დანიშნულებისამებრ უნდა დარიგდეს, ზოგი ფოთშივე, ზოგი რკინის გზით. ეს გარემოება თურმე ძალიან უმართავს ხელს ვაჭრებს, რადგან კომისიონერების ხარჯს თავიდამ აცილებს.

≈≈ ჩვენის გაზეთის გუშინწინდელ ნომერში იყო ნათქვამი, რომ ერთი პეტერბურგელ გაზეთის სიტყვით შემოდგომაზედ მიუყვიათ ხელი ძველის ქართულის წიგნებისა და ნივთების გასინჯვისათვისა იერუსალიმში, სინაიზედ, ათონზედ და კონსტანტინეპოლშიო და ამ საქმეს ხელმძღვანელობსო მართლმადიდებელთ მისიის უფროსიო იერუსალიმში. ამ შენიშვნის თაობაზედ რუსულ გაზეთებშივეა დაბეჭდილი წერილი გ. ა. ცაგარლისა, რომელშიაც იგი ამბობს: ეს საქმე მე მქონდა ჩაბარებული და იანვრიდამ აგვისტომდე შევასრულე კიდეც ჩემი მონდობილება, ასე რომ შემოდგომაზედ კი არ მივყავი ხელი ამ საქმეს, შემოდგომაზედ გავათავეო. ამას გარდა ჩემს შრომასთან არავითარი კავშირი არა ჰქონია მართლმადიდებელი მისიის უფროსსაო.

რუსეთი

— ამას წინედ სახალხო განათლების სამინისტროში აღძრული იყო კითხვა შესახებ იმისა, შეიძლება თუ არა სასულიერო სემინარიების შეგირდებს ოთხი საზოგადო კლასის კურსის დასრულების შემდეგ მიეცეს უფლება მიიღონ სახალხო მასწავლებლის ხარისხი და მით გათანასწორებულნი იყვნენ საშუალო სასწავლებლებში კურს დასრულებულებთან. ამ ჟამად ეს კითხვა გარდაწყვეტილა სემინარისტების სასარგებლოდ.

— გენერალ-მაიორს ტომიჩს, რომელიც ამ დღეებში წარსდგენია გატჩინოში ხელმწიფე იმპერატორს და უკვე წამოსულა ყარსში ყარსის მაზრის სამხედრო გუბერნატორის ადგილზე მიუღია შინაურ საქმეთა მინისტრისაგან ახალი ინსტრუქცია შესახებ რუს-ოსმალეთის და რუს-სპარსეთის სამზღვართა დაცვისა ქურდებისაგან, რომელნიც სძარცვენ რუსეთის ქვეშევრდომებს; გარდა ამისა შინაურ საქმეთა სამინისტრო საჭიროდ რაცხს გაამრავლოს სამზღვარზე დარაჯთა რიცხვი.

— «რუსკი კურიერს» ატყობინებენ, რომ უნივერსიტეტის ახალი წესდების განხილვისა გამო, სახელმწიფო რჩევაში საჭიროდ სცნეს სხვა-და-სხვა ცვლილებათა შემოღება ახალს წესდებაში. მაგალითად, პროექტის წესდების ძალით, როგორც ცნობილია, საკუთრად უნივერსიტეტის ეგზამენის გარდა, კურს-შესრულებულთათვის და სახელმწიფო სამსახურში შესვლის მსურველთათვის აპირებდენ განსაკუთრებითი სახელმწიფო ეგზამენის დადგენას სამმართველო კომისიებში, რომლებიც ამ საქმისათვის უნდა ყოფილიყვნენ დანიშნულნი; ამ წინადადების განხილვის დროს სახელმწიფო რჩევაში, როგორც შეუტყვია «რუსკი კურიერს», წევრთა უმრავლესობამ უარჰყო ეს წინადადება და საჭიროდ სცნო სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება დაუტოვოს ყველას, ვინც კი საჭირო ეგზამენს დაიჭერს უნივერსიტეტების ფაკულტეტებზე.

— გლეხ-კაცები თან-და-თან გრძნობენ მაშინების და გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღთა დიდს მნიშვნელობას ოჯახობაში. ამ დღეებში, როგორც ისმის, შინაურ საქმეთა მინისტრს წარუდგენენ განსახილველად წესდების პროექტს გლეხ-კაცთა ამხანაგობისას, რომელიც არსდება კოსტრომის გუბერნიაში; ამხანაგობის დანიშნულება არის ფაბრიკის გახსნა მიწის სამუშაო მაშინების და სხვა სამეურნეო იარაღების დასამზადებლად და გასაკეთებლად.

— პეტერბურგიდგან იწერებიან, რომ წრეულ სამადნო (ГОРНЫЙ) ინსტიტუტში შესვლა **300** კანდიდატს მდომებია და ვაკანცია კი მხოლოდ ორმოცი ყოფილა.

— პეტერბურგიდგანვე მოსული ცნობებიდგან ვტყობილობთ, რომ სახალხო განათლების სამინისტროს უცნობებია კიდევ სასწავლო ოლქების მზრუნველებისთვის, რომ სტუდენტების დაქორწინება აღკრძალულია.

უცხოეთი

— ვენის სამხედრო კლუბში, სადაც მრავალი ხალხი ყოფილა შეკრებილი, უმეტეს ნაწილად სამხედრო პირნი, ერთს ავსტრიის იმპერატორის გვარეულობის წევრს, ერცჰერცოგს იოანეს, წაუკითხავს რეფერატი იმაზე, თუ რა უფრო უმჯობესია ჯარისთვის; სალდათის მეხანიკური გაწრთვნა, თუ აღზრდა და განათლება? ერცჰერცოგი იოანე დიდის მხურვალებით და გულმოდგინებით ამტკიცებდა თურმე რეფერატში სალდათის განათლების საჭიროებას; ის, სხვათა შორის, ურჩევდა ოფიცრებს, რომ სალდათებს ისე არ უნდა ექცეოდეთ, როგორც ექცევითო; სალდათიც კაცია და იგიც კაცურს მოქცევას; საჭიროებსო ყოველთვის უფროსულად მოქცევა სალდათებთან უკანონოც არის და არც გამოსადეგია; საჭიროა, ოფიცრები დაუახლოვდენ თავის სალდათებსა და იმოქმედონ მათს გრძნობებზე და გონებაზე, — საჭიროა ეს იმიტომ, რომ ჰაბსბურგის იმპერია ეხლა ისეთს მდგომარეობაშია პარტიათა სხვა-და-სხვა ლტოლვილებათა

მიართმევს პატრონს. რაღა რჩება შერცხვენილს ნელკინს; იმას გააგდებენ სახლიდგან. მურომსკი ბოდიშს იხდის კრეჩინსკის წინაშე შეურაცყოფისათვის. მაგრამ ამ დროს ისმის ზარის ხმა, შემოდიან პოლიცია, ნელკინი და ზარაფი, რომელიც მიუთითებს კრეჩინსკიზე და ეუბნება პოლიციას, რომ ეს ის პირია, რომელმაც ძვირფასი თვლის მაგიერ უბრალო შუშა შეატყუა. ლიდია მიხვდა საქმის გარემოებას და კრეჩინსკისადმი სიბრალულის გამო მისცა ზარაფს თავის ქინძისთავი. ლიდიას გულს შემოეყრება; თავზარდაცემული მურომსკი თავისიანებით კარზე გადიან და კრეჩინსკი და რასპლიუევი კი პოლიციის ხელში რჩებიან.

ასე ვრცლად მისთვის ეუამბეთ მკითხველებს კომედიის შინაარსი, რომ საინტერესოდ მიგვაჩნია იგი, როგორც ნამდვილი ცხოვრებიდამ ამოღებული ამბავი. ეხლა თვით მოთამაშეებზე ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

ლიდიას როლს თამაშობდა ბენეფიციანტკა მელიქიშვილისა. ლიდია ახალგაზდა და გრძნობა და გონება გაურყვნელი ქალია; მას მართლათაც გულწრფელად უნდა ჰყვარებოდა ისეთი გაიძვერა კაცი, როგორიც იყო კრეჩინსკი. რასაკვირველია, ლიდიამ არ იცოდა, თუ რა კაცი იყო კრეჩინსკი, რომელიც მართლაც და არტისტიული ხელოვნებით მოქმედებდა და ლიდიაზე უფრო გამოცდილს კაცს მოატყუებდა. ჩვენ კვლავაც გვითქვამს, რომ მელიქიშვილის ქალი რიგიანი მოთამაშეა. ამ გზობით მელიქიშვილისას ჩვენი სიტყვები არ გაუცრუებია და დაგვიმტკიცა, რომ მას შეუძლიან კარგი მოთამაშე გახდეს. მართალია, ლიდიას როლის შესრულებას ბევრი ნაკლულევანება ეტყობოდა, მაგრამ ზოგიერთი სცენები ხელოვნურად ვაატარა. მაგალითად, საუკეთესო ადგილი მელიქიშვილის თამაშში იყო უკანასკნელი სცენა, როდესაც ის შველის თავის გამაპატიურებელს კრეჩინსკის და ზარაფს აძლევს თავის ძვირფასს ქინძისთავს; მაგრამ სამაგიეროდ მელიქიშვილისა ერთობ უგრძნობელად გვეჩვენა იმ დროს, როცა ნელკინი ამქლავნებს კრეჩინსკის მოქმედებას და როცა მას, ლიდიას, გული შემოეყრება. ჯერ-ჯერობით მელიქიშვილისას ბევრი მეცადინეობა ეჭირვება; ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი ნიჭი ისეთ გვარია, რომელიც უცებ თავს ვერ იჩენს, თუმცა თავის ბუნებრივს ძალას კი გვიჩვენებს.

საზოგადოებამ კარგად მიიღო მელიქიშვილისა და ნიშნად თანაგრძნობისა მიერთვა თაიგული.

ბ. ვ. აბაშიძე თამაშობდა კრეჩინსკის როლსა. იმის თამაშობაზე ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგანაც კრეჩინსკის ხასიათი სრულიად არ შეეფერის ვ. აბაშიძის ნიჭსა. კრეჩინსკი უნდა ყოფილიყო უფრო დარბაისლური შეხედულობისა, უფრო ენერგიული და ოსტატი კაცი. საუკეთესო სცენები კრეჩინსკის თამაშში ვ. აბაშიძემ სუსტად გაატარა და სწორედ სამწუხაროა, როცა ეს ნიჭიერი მოთამაშე თავის ნიჭის შესაფერ როლებსა არა თამაშობს.

ბ. მოხევე თამაშობდა მურომსკის როლსა. ჩვენ ამას წინედ ვთქვით, რომ მოხევეს უფრო შეჰფერის, სხვათა შორის, ხნიერი კაცის როლი. ჩვენ არ მოვსტყუვდით. მოხევემ რიგიანად გაატარა მურომსკის როლი, თუმცა ალაგ-ალაგ მომეტებული სიფიცხე ეტყობოდა. ამ გზობითაც ბ. მოხევე სინიდისიერად მოჰპყრობოდა თავის როლს.

ბ. თომაშვილი თამაშობდა რასპლიუევის როლს და გვარიანადაც ითამაშა, თუმცა ზოგიერთს სცენებში აჭარბებდა და როლის უცოდინარობის გამო ძალიან აგძელებდა უმისოთაც გძელ მოქმედებებს.

ნ. გაბუნია-ცაგარლისა თამაშობდა ლიდიას დედის-დის როლსა; ეს როლი რიგიანად ვერ ითამაშა და ერთობ კარიკატურული იყო სცენაზე. საზოგადოდ ეს ნიჭიერი მოთამაშე ვერა თამაშობს კარგად გარეშე ცხოვრებიდამ ამოკრეფილ როლებსა.

ბ. მძინარიძე ნელკინის როლში მეტის-მეტად ქანაობდა გულ-მოსულობისაგან.

რაც შეეხება პიესის თარგმანს, უნდა ვთქვათ, რომ ენისა ბევრი უსწორ-მასწორობა გვესმოდა; მაგ. «გლეხებს დამართებიათ შვიდი ათასი ვერცხლი», «დიდი მუქა გააკეთაო» და სხვ. და სხვ.

ხალხი წარმოდგენაზედ ნაკლებად დაესწრო.

უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენა დიდ ხანს გაგრძელდა; ეს მეტად შემაწუხებელია მაყურებელთათვის, მეტადრე მაშინ, როცა მუსიკა არ არის მოწვეული; მთელს წარმოდგენაში მხოლოდ ზოგიერთმა სცენებმა გამოიწვიეს მხიარულება საზოგადოებაში, რომელიც ერთობ მოწყენილი იყო.

უკანასკნელი სცენა საზოგადოებამ დიდის ტაშის კვრით მიიღო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დრამატიული დასი კარგს იზამს, თუ რომ წარმოდგენას მიუმატებს ერთს უბრალო, ცოცხალ ვოდევილს. უამისოდ საზოგადოება მეტად იღლება, მეტადრე, როცა თამაშობენ სერიოზულ პიესას, რომლის აღსასრულებლად შესაფერი აქტიორები აკლიათ.

წარმოდგენა მეტად გვიან დაიწყო და ანტრაქტებსაც მეტად აგძელებდნენ.

ა. ნა—ლი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 4 Ноября

გამო, რომ ლამის არის შეირყეს ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია იგი და ამისთანა გასაჭირს დროს ჯარი-ღაა ერთად-ერთი იმედი სახელმწიფოს ერთობისა; ამისათვის საჭიროა, სალდათი იქამდინ განათლებული, განვითარებული დაბრუნდეს ჯარიდამ სამშობლოში, რომ მას ჰქონდეს შეგნება სახელმწიფოს სიკეთისა და კეთილ-დღეობისა. სალდათი არის ხალხის შვილი, ხალხიდამ გამოყვანილი და ამიტომაც ფართო გზა უნდა მიეცეს მას გონებით წარმატებაში და არ უნდა ავიწროებდენ მის გონებით განვითარებას რაღაცრაღაცა უმნიშვნელო და ჭკუის დამამახინჯებელი ვარჯიშობებით. Ისეთი გაწრთვნა, როგორიც ეხლაა მიღებული, სალდათს ნების ძალას უხშობს, ხასიათს უსუსტებს, მაშინ როდესაც სამხედრო წესი სრულიადაც არ ითხოვს, რომ კაცს ნების ძალა დახშული ჰქონდეს და მოსაზრების ნიჭიც დაჩლუნგებული.

— ბერლინის პოლიტიკურს წრეებში ამ უკანასკნელს დროს მოლაპარაკება აქვსთ იმაზედ, რომ რეიხსტაგის წევრებს ჯამაგირი დაუნიშნონ. Დეპუტატები აქამდინ არაფერ ჯილდოს არ იღებდენ თავიანთ თანამდებობათა აღსრულებისათვის და ეს გარემოება ძალიან აბრკოლებს იმ პირთ, რომელთაც შეძლება არა აქვსთ, იკისრონ წარმომადგენლობა. Ამის გამო ზოგიერთა პარლამენტის დასთა თავიანთ წევრებს თითონ დაუნიშნეს ჯამაგირი; ამის მაგალითი პირველად სოციალისტებმა უჩვენეს, და შემდეგ პროგრესისტებმაც გამართეს კასსა და თითო თავის წევრს ხუთას-ხუთასი მარკა დაუნიშნეს თვითეული კრებისთვის. რადგანაც სახელმწიფო კანონებით არ არის დადებული დეპუტატებისთვის ჯამაგირები და ამგვარი მოქმედებით პარლამენტის დასნი თითქო ასწორებენ კანონთა ნაკლულევანებას, ამისათვის ოფიციოზური ჟურნალ-გაზეთები ძალიან ჰკიცხვენ თურმე მათს მოქმედებას და თვით იმ დეპუტატებსაც, რომელნიც ამ გვარად ჯილდოს იღებენ. Ამის გამო პროგრესისტებს განუზრახავთ წარუდგინონ რეიხსტაგს პროექტი კანონისა შესახებ დეპუტატთა შრომის დასაჩუქრებისა. Თუმცა ამ პროექტს ძალიან ეწინააღმდეგება პარლამენტის მარჯვენა მხარე, რომელიც ამტკიცებს, რომ სუბსიდიების მიცემა უკანონობა არისო, მაგრამ შესაძლებელი არ არის, რომ მან პროგრესისტების პროექტის მიღებას ავნოს რამე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

იწვევს მათ, ვინც ისურვებს შეშის იჯარით აღებას ამ გზის სტანციებისთვის თბილისიდამ მოყოლებული ბაქომდენ. სთხოვენ, შეშის ფასებზე და იჯარის პირობებზე განცხადებანი გამოგზავნონ გზის გამგეობაში, მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე. (6—1)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 1-ის ნოემბრიდამ ქალაქის სასარგებლოდ გარდაწყვეტილი გარდასახადი მიიღება გამგეობის კასაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ და საღამოს 6 საათიდამ 8 საათამდის. (3—3)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲕᲐᲢᲔᲑᲘ



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25⁰/₀-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩეცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანგები, ნაჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, გამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. Ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—18)

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ (ᲒᲝᲡᲢᲘᲜᲘᲪᲐ)

„ᲘᲢᲐᲚᲘᲐ“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარევის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. Ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.

(30—26)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1884 годъ

на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету

„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

ГОДЪ ПЯТЫЙ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою въ Москвѣ:				Съ пересылкою въ города:			
На 12 мѣс.	8 р. 50 к.	На 6 мѣс.	4 р. 50 к.	На 12 мѣс.	9 р. — к.	На 6 мѣс.	5 р. — к.
» 11	» 8 » — »	» 5	» 3 » 90 »	» 11	» 8 » 50 »	» 5	» 4 » 60 »
» 10	» 7 » 50 »	» 4	» 3 » 25 »	» 10	» 8 » — »	» 4	» 3 » 70 »
» 9	» 6 » 75 »	» 3	» 2 » 50 »	» 9	» 7 » 40 »	» 3	» 2 » 75 »
» 8	» 6 » — »	» 2	» 1 » 90 »	» 8	» 6 » 70 »	» 2	» 2 » — »
» 7	» 5 » 25 »	» 1	» 1 » — »	» 7	» 5 » 90 »	» 1	» 1 » 10 »

За границу: на 12 м. 17 р., на 6 м. 9 р., на 3 м. 5 р., на 1 м. 2 р.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, домъ Н. П. Ланина; въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы и С.-Петербурга и въ Парижѣ—Rue Clément, 4 Adam.

Гг. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору изданія «РУССКІЙ КУРЬЕРЪ».

(3—1) Редакторъ-Издатель Н. П. Ланинъ.

მ ა ღ ა ზ ი ა

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ.

პარიჟიდამ მიღებულია ქალის ხელთათმანები (ფერჩატკები) თეთრი, ზამშისა, ნამდვილი ქევენი განსაკუთრებით მომავალის დიდის ბალისათვის.

მალე მივიღებთ უნივერსალურ სამოვრებს, საყავეებს, სამზარეულოს, რომელზედაც შეიძლება სადილის მომზადება უმზარეულოდ და ულაქიოდ, ფოტოგენზედ უკვამლოდ და სუნაუღებლად ერთ გაპეიკად. (2—2)

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ᲗᲛᲘᲡ-ᲐᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲘ

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—63)

ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორავასა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა —	—1 გირ.	5	კ.
აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა —	—1 გ.	3	კ.
მეორისა — —	—1 გ.	$2\frac{1}{2}$	
იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:			
პირველის ხარისხის —	1 გ.	5	კ.
მეორისა — —	—1 გ.	3	კ.
მესამისა — —	—1 გ.	$2\frac{1}{2}$	
ჯვარის-მამის პური:			
პირველის ხარის. ლავაში	1 გ.	5	კ.
მეორის ხარის. ლავაში	1 გ.	$3\frac{1}{2}$	
მესამისა —	—1 გ.	3	კ.
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხის —	1 გ.	8	კ.
მეორის —	—1 გ.	7	კ.
სუკი . . .	—1 გ.	15	კ.
ცხვრის ხორცი —	1 გ.	7	კ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხის —	1 გ.	10	კ.
მეორის —	—1 გ.	9	კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ ₰ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Довв. ценз. Тифлисъ, 4 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი.